ღღუს ჩვენ ვართ „ერთიანი ეროვნულ-პატრიოტული მოძრაობის“ საინიციატივო ჯგუფთან ერთად და ამ ორგანიზაციის მმართველობის ფორმა საზოგადოების დაკვეთით შეიქმნა. დღეიდან ზემოაღნიშნული ორგანიზაციის მართვის ორგანოს წარმოადგენთ „ეროვნული ერთიანობის სათათბიროს“ სახით.

„ეროვნული ერთიანობის სათათბიროს“ ზემოხსენებულ მოთხოვნა განაპირობა საქართველოში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ.

ქართველი ერთიანი არსებობის განმავლობაში არაერთხელ ყოფილა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში, მაგრამ ქართველი ხალხის სიბრძნე ჩვენი ქვეყანა გადაარჩინა განადგურებას, განსხვავებით დიდი იმპერიებისა, რომლებმაც ვერ გაუძლეს ისტორიულ ქართველებს. **ღღუს მიმდინარე პოლიტიკური პროცესებისა და გლობალიზაციის პირობებში არ დაუშვებთ გარე დასტრუქციული, ანტისახელმწიფოებრივი ქალების მიერ ქვეყნის მართვას და მის საშინაო საქმეებში ჩარევას; არ დაუშვებთ,**

საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიმართული იყოს ხალხის ნების წინააღმდეგ. **საქართველო ისტორიულად არის ტრადიციული ქვეყანა და ქართველი ერს აქვს დიდი პოლიტიკური კულტურა.** საქართველო არაერთხელ ყოფილა გამოუვალ მდგომარეობაში, მაგრამ საბოლოოდ არასდროს დამარცხებულა პოლიტიკური ბრძოლის ველზე.

„ეროვნული ერთიანობის სათათბიროს“ მზად არის, შეხვედეს საქართველოს მეგობარი ქვეყნების პოლიტიკოსებს, მეგობარი ქვეყნების ხელისუფლებებს, აკრედიტებული

დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს, აკრედიტებულ ჟურნალისტებს, რომლებიც დაგვემხარებოდნენ სამართლებრივად და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში, აგრეთვე, მივმართავთ ყველას, მონაწილეობა მიიღონ საქართველოსა და რუსეთის შორის კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში.

**„ერთიანი ეროვნული სათათბიროს“ მზადაა, შეხვედეს ქვეყნის მთავრობას, პოლიტიკოსებს, ოპოზიციას და გამართოს ინტენსიური შეხვედრები მოსახლეობასთან.**

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, პოლიტიკური ბრძოლის სწორად წარმართვისთვის ვაწარმოებთ შეხვედრებს შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირებთან არა მხოლოდ ზემოაღნიშნული, არამედ სხვა საკითხების დასაზუსტებლად. საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, გთავაზობთ ურთიერთთანამშრომლობას, რათა საქართველომ ღირსეული ადგილი დაიკავებდეს მსოფლიო ქვეყნების თანამეგობრობაში.

დასასრულ, მოგიწოდებთ, გაერთიანდეთ და ერთად ვიზრუნოთ ერისა და ბერის გადარჩენაზე.

**პატივისცემით, თეიმურაზ მაკარიძე, „ეროვნული ერთიანობის სათათბიროს“ თავმჯდომარე**



**მსოფლიო სივრცე**

www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ღღეს ყველასაგან ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლაც მეცნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩეჩებული“.**

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

როგორ იქნება 2020-2021 სასწავლო წელი — ამ საკითხზე ჯერჯერობით მხოლოდ მითქმა-მოთქმაა, რომელიც გარკვეულწილად, ალბათ, მაინც იძლევა შემოფოტების მიზეზს, რადგან განათლების მესვეურთა და ხელისუფლებასაც რატომღაც ძალიან მოეწონათ ე.წ. ონლაინგაკვეთილები და ჭკუაშიც დაუფრდათ ამ მეთოდის კვლავაც გამოყენება. თავის წერილებში განათლებისა და აღზრდის თაობაზე ილია აანალიზებს მსოფლიოში ცნობილ მეცნიერთა თვალსაზრისსა და შეხედულებებს პედაგოგიკის საკითხებზე, რომელთა მართებულობა თუ უვარგისობა დრომ და პრაქტიკამ დაამტკიცა. ილიას აზრით, „ვიტორინომ, ვერჟერიომ და ვეჯიომ — ამ სამმა მესვეურმა ახალის პედაგოგიისა, გზა გაუხსნა პედაგოგიასა და მათმა თეორიამ ახალის მოძღვრებისამ დიდი ზემოქმედება იქონია შემდგომებზე“, ამიტომაც მიაჩნია ერის მამას მათი აზრის გათვალისწინება აუცილებლად თანამედროვე სკოლის წარმატების საკმარისი და ამიტომაც მიუძღვნა ამ საკითხს ვრცელი წერილები. საინტერესოა ის არის, რომ ილია ასწავლულზე მეტი ხნის წინათ იძლეოდა, არც დღეს აწყენდა ჩვენს ბედურულ განათლების სისტემას, რომლის მესვეურებმაც დისტანციური სწავლების სიკარგზე საუბრებით ყურები გამოგვიჭედეს.

ილიას აზრით, სკოლამ ბავშვს იმთავითვე უნდა ჩაუწეროს უფლის სიყვარული და რწმენა იმისა, რომ „ღვთისათვის საცნაურია არამც-თუ საქმენი ადამიანისა, არამედ გულის ზრახვანიცა. როცა ამ გზით სული და გული მოწაფისა საკმაოდ მომზადებული იქნება, მაშინ მეცნიერების სწავლებასაც უნდა შეუდგნენ“. და ბოლოს: სკოლამ უნდა განუფიქროს მოზარდს გრძობა მოვალეობისა და ასწავლოს, როგორ უნდა მოექცეს და მოეპყრას სხვა ადამიანს. ილია მატყუო ვეჯიოს იმონებებს და აღნიშნავს, რომ „წასიწარმ და მართლის გზით განვითარება და წარმატება სული და ხორცისა, ჩანარება ბავშვის გულში კარგის გაბაღითაჲსი შემყოფით კითხილ-მომამადის ზნისა და ხასიათისა უნდა იყოს ერთად-ერთი საბანი აღზრდისა“.

მაშ ასე, მივყვით ილიას პუბლიკაციებს:

# რატომ არ არის დღევანდელი სკოლა «სწავლა ცოდნაზე შეყენებული და გაჩეჩებული»

**ვიღაცებს ძალიან სჭირდებათ გამოთავსებული, გადაგვაჩეჩებული აღმზრდები, რადგან ბავშვს მართლაც გასილავით აწვილია, ვიღაც განათლებული, ჭკვიანი სწავლულისა**



რნი ჰლამობენ დაუდვან სკოლას, ახალი ამბავი არ არის. მაგ დედა-აზრის სათავე ჯერ კიდევ საშუალო-საუკუნოებში მოიპოვება, სახელდობრ, ეგრეთ-ნოდებულ „განახლების ეპოქაში“, როცა თავი იჩინა ჰუმანობის მოძღვრებამა.

პირველი კაცი, რომელმაც ჰუმანობის მოძღვრებაზე ააგო სკოლა, იყო იტალიელი ვიტორინო დე-ფელტრე. ამ კაცის მოკლე ისტორია და იმისი საპედაგოგო საფუძველი უკვე მოგახსენეთ მკითხველს „ივერიის“ 796-ში. ეს მამოთავარი პედაგოგისა იყო აღსრულდა, რომ ერთი სტრიქონიც არ დაუწერია ახალ პედაგოგიის შესახებ. იგი მართლაც საქმით მოქმედობდა და ამბობდა, რომ კარგად მოქმედება სჯობს კარგად წერასაო. ხოლო იმისი საქმით მოძღვრება უნაყოფოდ არ დარჩა. იმის დროს სცხოვრობდა ორი სხვა მეცნიერი, პაღუსი პროფესორი პაოლო მარტინი და რომის პედაგოგი მატეო ვეჯიო. ვიტორინოსაგან საქმით მოძღვრებულნი საფუძველნი ახალის პედაგოგიისა ამათ სამეცნიერო წესსა და რიგში ჩაადგეს და თვითუღმა მათგანმა საკმაოდ გამოჩენილი თხზულებები დასწერა. ამ სახით, ეს ორი კაცი შეიქმნა მეცნიერულად დამფუძნებელი ახალის პედაგოგიისა. ამათი ნაშრომი იმითა გამოჩენილი, რომ თვალსაჩინოდ, თვალნათლად გამოთქმულია დედა-აზრნი ახალის საპედაგოგო სისტემისა, წარმოდგარნი ჰუმანობის მოძღვრებისაგან. ვერჟერიო თავის თხზულებებში სკოლის საფუძველად სდებდა ამ ოთხს დედააზრსა:

ა) საგანი აღზრდისა ის არის, რომ თავის რიგსა და წესზედ წარმატებულ იქმნას ყოველი ძალიან ოსტატმა ცხოველი სკოლა მიმართულია მართლაც გონების აღტაცებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამც-თუ ჰუმანობის, არამედ სწავლავის მართლაც განვითარების მიზნად დასდებულ იქმნას არა მარტო ასაკი და ნლოვანება მონაწილისა, არამედ მისი განსაკუთრებული ზნენი და თვისებანი.

ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და ნლოვანება მონაწილისა, არამედ მისი განსაკუთრებული ზნენი და თვისებანი. ც) სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლაზედ.

„თითონ სწავლა და ცოდნა, რომელსაც სკოლა იძლევა, ისე უნდა იყოს განვითარებული და შერჩეული, რომ ზნე-ხასიათის წვრთნას, ამ ერთადერთს საგანს თვისას, გაუძღვეს და ემსახურებოდეს. სწავლა-ცოდნის ძლევა მართლ იმ აზრით, რომ კაცი სწავლული და მცოდნე იყოს, ამო და ბოლო-მოუბმელი ნადილია სკოლისა. დღეს ყველა საგანს ცხადად დანახულია, რომ ვერც ერთი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, იმოდენა სავსებით ცოდნას ვერ იძლევა, რომ კაცი მართლაც მეცნიერი და სწავლული იყოს, ამ სწავლა-ცოდნაზე შეყენებული და გაჩეჩებული.“

ეს ამბავი მით უფრო საბუნებოდ დასახარია, რომ ეხლანდელი სკოლა, თუნდაც უნივერსიტეტი, მართლ სწავლა-ცოდნის შეძენაზეა მიმართული და აგებული და სხვა არაფრისათვის არ აცლის არც მასწავლებელს, არც მოსწავლესა. სკოლაში ის უნდა აწავადოს და სწავლავს, რომ კაცს ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, პატიოსანი იქნას საგანი ცხოვრებისა იქონოს; ღონე, ხერხი და წყურვილი ჰქონდეს, ყოველ ამისათვის მოიპოვოს შესაფერისი სწავლა-ცოდნა. ეგრე მოწყურებული, გაღონიერებული და ხერხიანი კაცი არავითარს სიძნელეს საქმისა არ შეუშინდება, არ შეუდრება და ზნე-ხასიათობაც ეს არის.

ეხლანდელი სკოლა კი სულ სხვა საგანს მისდევს და ეს ზნე-ხასიათის წვრთნა თავმისებრია. ეხლანდელი სკო-

ლა მართლ იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაძლოა, ბევრი ცოდნა დასტოვს, ყმაწვილს ბევრი რამ ასწავლოს მართლ ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის, ამიტომაც არც კაცად და ვეჯიოებზე ეხლანდელი ყმაწვილები და არც იმათის სწავლა-ცოდნად გამოდის რამ. ამიტომაც სკოლაში მიღებულნი სწავლა-ცოდნა მეტი ბარგია იმათთვის და არც-კი ენანებათ, რომ ცხოვრების გზაზედ ეს ბარგი დღე-და-ღღე ეკარგებათ, როგორც მეტი რამ.

დღევანდელს დღეს ადვილად შესაძლოა შევხვდეთ, — კაცი ცოდნით ერთი იყოს, მოქმედებით და ცხოვრებით-კი სრულებით სხვა. ეს იმიტომ არის, რომ დედა-აზრნი, სკოლაში სწავლა-ცოდნით გამოჩეჩებული, მართლ ფორმალურად არიან მიღებულნი და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა. ...ჯერ ძველ დროშივე სკოლიათ, რომ სწავლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის სანურთველდ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მართლ თავის-თავად სანუგებარი რამ, თავის თავად სანატრელი. ამ აზრმა ძველის დროისამ უფრო მეტის გარკვევით, უფრო მეტის სიცხადით თავი გამოიჩინა საშუალო საუკუნოებში, საკუთრივ მაშინ, როცა ეგრეთნოდებულს სკოლასტიკას საძირკველი შეერყა და მოძღვრება „ჰუმანობისა“ წამოდგა ფეხზედ. ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამიანის ჭკვა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და

## «ბავშვი წინდა ტაქარია სულისწინდისა და სიფრთხილითა და სიყვარულით უნდა მოეხსენა»

ისწავლა ბერძენებისა და რომაელების მწერალთა ნაწერებშია საგან და მრავალი რამ აღმოაჩინა. ყველაზედ უდიდესი აღმონაწილი ამ დროისა, — მიშლესი არ იყოს, — ადამიანია, ესე იგი, ამ საუკუნემ ახალის თვალთ მიახედა კაცობრიობა ადამიანის ღირსებაზედ და იმის არსებობის საგანზედა.

„ჰუმანობის მოძღვრება იმაში გამოდგარებოდა, — ამბობს ერთი მწერალი: — რომ ადამიანი შეზარდეს ცხოვრებას, ელინებრ სიხარულის თვალთ უყურებდეს; იმაში მდგომარეობს, რომ კაცის ადამიანური და არა მათის შინაგანის აზრითა, არა მათის ბუნებურის შინაარსითა. ...ჯერ ძველ დროშივე სკოლიათ, რომ სწავლა-ცოდნა სკოლაში ზნე-ხასიათის სანურთველდ ღონედ უნდა იხმარებოდეს და არა იქმნას მართლ თავის-თავად სანუგებარი რამ, თავის თავად სანატრელი. ამ აზრმა ძველის დროისამ უფრო მეტის გარკვევით, უფრო მეტის სიცხადით თავი გამოიჩინა საშუალო საუკუნოებში, საკუთრივ მაშინ, როცა ეგრეთნოდებულს სკოლასტიკას საძირკველი შეერყა და მოძღვრება „ჰუმანობისა“ წამოდგა ფეხზედ. ეს ხანა ისტორიისა გამოჩენილია მით, რომ ადამიანის ჭკვა-გონება დიდად გაძლიერდა, მრავალი რამ შეიგნო და

გური არ მომიცია, არავითარი სამუდამო და უცვალებელი საქმე არ ამიჩენია. ეს იმისთვის, რომ საცა შენ გაამოს, იქ იცხოვრო, რაც გინდოდეს, ის საქმე აირჩიო. მე შენ არც სასიკვდილოდ გამიჩენიხარ, არც უკვდავად დამიჩენიხარ. ეს იმისათვის, რომ შენ თითონ იყო შენის თავის მკეთებელი და ისეთი სახე მიიღო, როგორიც შენ თითონ გსურს: შენ შეგიძლიან პირუტყვადინაც ძირს ჩამოხვიდე და ანგელოზადინაც ზე ახვიდე“.

კაცმა რომ ჩაიხედოს ამ სტრიქონებში და ამასთან უნარიცა ჰქონდეს, გამოსარკვევი გამოარკვეოს და დასახარად დაინახოს, ჩვენთან ერთად იტყვის, რომ ამაზედ მართლაც კაცმა გამოსთქვას-ლა, როგორც ადამიანის არსებობის საგანი, ისეც ადამიანის ღირსება. ჯერ ეს პიკოს სიტყვა არ იყო თქმული, როცა იტალიაში დაიძრა აზრი, რომ სკოლა აგებული იქმნას ჰუმანობის მოძღვრების მიხედვითა. ამივეთი გამოსთქვა მაშინ ერთმა იტალიელმა პიკოსმა პიკოლეტო-მირანდოლამ 1486 წელსა. ამ პიკოს სიტყვით, — არას უბრძანებს ღმერთი პირველს კაცს ადამსა: „მე შენთვის, ადამი, არავითარი სამუდამო ზნე და სად-

გადოდ და ვსთქვით, რომ ერთი უდიდესი ნაკულულოვანება ის არის, რომ ეხლანდელს სკოლას აზრად აქვს, რაც შეიძლება ბევრი სწავლა-ცოდნა შესძინოს მოსწავლესა და ზნე-ხასიათის წურთვანს-კითხვით სრულიად უყურადღებოდ სტოვებს. ამ სწავლა-ცოდნასაც ისეთი დიდის სანაყათი იძლევა, რომ მოსწავლე ძლივდობობით ასდის, სულით და ხორცილთ იქანცება, არაქათი უწყდება და ბოლოს გამრჯელ, მხნე, სულითა და ხორცილთ ღონიერ ადამიანის მაგიერ უძღური, უღონო და ჯანგალეული კაცი გამოდის სკოლიდან. ამ-სახით, ეხლანდელი სკოლა მიმართულია მართლაც გონების აღტაცებაზედ და სხვა მხარეს ადამიანის ბუნებისას არამც-თუ ჰუმანობის, არამედ სწავლავის მართლაც განვითარების მიზნად დასდებულ იქმნას არა მარტო ასაკი და ნლოვანება მონაწილისა, არამედ მისი განსაკუთრებული ზნენი და თვისებანი.

ბ) სწავლებაში უნდა სახეში მიღებულ იქმნას არა მარტო ასაკი და ნლოვანება მონაწილისა, არამედ მისი განსაკუთრებული ზნენი და თვისებანი. ც) სწავლა-ცოდნა და ერთობ განათლება უნდა დაფუძნებული იყოს თავისუფალ მეცნიერებათა შესწავლაზედ.

# „ქსელანდელი სკოლა მართო იმის ცდაშია, რომ პატარა ბავშვის თავში, რაც შესაქლოა, გვირეცოდა დასტიოს, ყმანვილს ბავშვი რამ ასწავლოს მართო ცოდნისა და სწავლისათვის და არა კაცის გაადამიანებისათვის, ამიტომაც არც კაცად ღა ვარგობენ ქსელანდელი ყმანვილები და არც იმართის სწავლა-ცოდნიდამ გამოდის რამ“.

ამ მეცნიერებათა სა-  
თავებო სდგას ფილოსო-  
ფია, რომელიც ადამიანს გო-  
ნებთად თავისუფალს ჰხდის.  
მას მოსდევს მეცნიერება  
მჭერმეტყველებისა, რომელი-  
ც ასწავლის კაცს აზრის ნათ-  
ლად და ლამაზად გამოთქ-  
მას. მერე მოდის ბუნების-  
მეტყველება, რომელიც გვა-  
გებინებს პარამონიას ყოველ  
მისას, რაც არსებობს, და ბო-  
ლოს ისტორია, რომელიც  
მოგვითხრობს სვლას და გან-  
ვითარებას მეცნიერებისას და  
მრავალს სასარგებლო მაგა-  
ლითს თვალწინ გვიყენებს.

როცა ვერაფერი ამბავზედ  
ლაპარაკობს, ბევრს ეხლან-  
დელ დროისათვისაც სასურ-  
ველს აზრსა და ქვემარტებას  
ამბობს. მაგალითებრ, იგი ამ-  
ბობს, რომ **ჭაშა-გონება ამ-  
ნაფისა უფრო ნარამატი-  
ბაში შედის მავინ, როცა  
ერთს რომელსაღა თხზუ-  
ნებას საშუალებიანად ის-  
წავის, ვიდრე მავინ, რო-  
ცა ხელ-და-ხელ და ბაკ-  
რით გადააბუღებულა  
მრავალსაღა. გადამეტებული  
ცოდნა წერილმანებისა მეტის  
მეტად ამძიმებს მონაფის გო-  
ნებასა, ჰქანცავს და ჰღალავს  
ყმანვილსა იქამდე, რომ ბო-  
ლოს და ბოლოს სამუდამოდ  
აუძღურებს და ასუსტებს.  
**როგორც უნდასწავლა, ისე  
მეტის-მეტე მათეტი წეს-  
ნიერება (დისციპლინა)  
სკოლაში ერთნაირად გა-  
ვანებელიაო. პირველ შემთ-  
ხვევაში სული და გული, ერთ-  
ობ ბუნება და გუნება მონა-  
ფისა აღვირახებულა, გაქ-  
სუებულია, მონაფის ეკორგე-  
ბა ღონე თავდაჭერისა და  
უნარი, ხალისი გარჯისა და  
შრომისაო; მეორე შემთხვე-  
ვაში ბატანჯული და დავი-  
ნებაში მონაფი ყოველს  
მხნეობასა ჰპარბავს, ნი-  
ჭი თაონსობისა და თვით-  
მომხადობისა უპყვება,  
იმითომ რომ, ვისაც ყველ-  
აფრისა უპინიან, ის უღო-  
ნოა, რაიმე საბამს შეუდ-  
გას თავისითაო.****

უფრო მეტის საბუთიანო-  
ბით და სისტემით გამოჩენილ-  
ნი მეორე მეცნიერის ვეჯიოს  
თხზულებაო, ამბობს ავტორი,  
რომლის თხზულებიდანაც ამ-  
ოვერბით ჩვენ როგორც ეს  
ცნობანი, ისეც წინადადენი.  
ეს მისი თხზულება ახალი პე-  
დაგოგია არისო, — ამბობს  
იგი ავტორი, — და ბავშვის ალ-  
ზრდას დაბადების დღიდანვე  
თანს სდევსო. ვეჯიო მთელის  
თავის ძალ-ღონით ეწინააღმ-  
დეგება იმ ჩვეულებას, რომ  
შვილებს ძიძას აზრდევინებენ  
და ცხარედ იღვწის, რომ დე-  
და თითონ ანოვოს შვილსა.  
**წაიბარად და მართლის  
გონი ბანვითარება და  
წარმატება სწლისა და  
სორცისა, ჩანებვა ბავშ-  
ვის გულში კარბის მავა-  
ლითაღი შემდგომი კე-  
თილ-მომხადობის ზნისა  
და ხანისათვის უნდა იყოს,  
ვეჯიოს აზრით, ერთად-ერ-  
თიო, როგორც ვერაფერი, იმ  
აზრზეც სდგას, რომ აღზრდა-  
ში სახეში უნდა იქონიონ არ-  
ამც-თუ მართო ასაკი მონაფი-  
სა, არამედ მისნი განსაკუთ-  
რებულნი ზნენი და თვისება-  
ნი, ხოლო ვეჯიო ამ საგანზედ  
უფრო ვრცელად ლაპარაკობს.  
იგი ამბობს, რომ სხვადასხვა  
ბუნება სხვადასხვა ბავშვი-  
საო. ეს სხვადასხვა ბავშ-  
ვთა ბუნებისა იმოდენად  
ძლიერია, რომ უფრო ავი-**

ლია მზეს შეაცვლენის გზა,  
ვიდრე დაბადებით თანდაყო-  
ლილი მიდრეკილება ბავ-  
შვისა შეიცვალოსო. ამ სხვა-  
დასხვაობას უნდა შეეფეროს  
სხვადასხვა ღონისძიებაც ალ-  
ზრდისაო. **მკვირცხლს და  
თამამს ბავშვს სხვარი-  
გად უნდა მოეძინე, ვიდრე  
რამე კლამარს, მორცხვსა  
და აზრს ყმანვილსაო. ესევე  
უნდა იქონიონ სა-  
ხეში ჭაშა-გონების აღზ-  
რდაშიცაო. ამიტომაც ვე-  
ჯიო დედ-მამებს არ ურჩევს,  
შვილები იმისთანა სკოლაში  
აძლიონ, საცა ბევრი ყმანვი-  
ლები არიან, იმიტომ რომ  
თვით უკეთესი ოსტატიც-კი  
ამ შემთხვევაში უფრო იქნე-  
ბა, თვითოეულს ბავშვს ცალ-  
კე ადევნოს თვალი და თვითო-  
ეულის განსაკუთრებულს ბუ-  
ნებას და გონებას ცალკე შე-  
ურჩიოს გზა გონების გახსნი-  
სა და ზნე-ხასიათის წურთენი-  
სა. აი ეს სამი — ვიტორინო,  
ვერაფერი და ვეჯიო, არიან  
პირველი მესვეურნი ახალის  
პედაგოგისა და ამ სახით, იგი  
დედა-აზრნი, რომელიც  
დღეს გადვიძებულნი არიან  
მეცნიერთაგან, მომდინარეო-  
ბენ ჯერ კიდევ მეთხუთმეტე  
საუკუნიდან. განსხვავება მა-  
რტო იმაშია, რომ ეხლა ეგ აზ-  
რნი უფრო მეტის სახეებით,  
მეტის გარკვევით, მეტის მეც-  
ნიერებით და გამოცდილებით  
შემუშავებულნი, განვითარე-  
ბულნი არიან და დასაბუთე-  
ბულნიცა.**

ვიტორინომ, ვერაფერი  
და ვეჯიომ — ამ, როგორცა  
ვითხვით, სამმა მესვეურმა ახ-  
ალის პედაგოგისამ, გზა გა-  
უსხსნა პედაგოგისა და მათმა  
თეორიამ ახალის მოძღვრები-  
სამ დიდი ზემოქმედება იქო-  
ნისა შემდგომებზედ. სახელო-  
ვანი დეზიდერი ერაზმი როტ-  
ტერდამელი, რომელიც დაი-  
ბადა 1467 წელსა და გარდაიც-  
ვალა 1536 წელს, ერთი იმათ-  
განი იყო, რომელთაც ბოლოს  
და-ბოლოს სრულად დაჰფუ-  
შეს ძველი სქოლასტიკური  
სისტემა სკოლისა და ახალი  
საუფველი დაუდევს, ჰუმან-  
ობის მოძღვრებაზედ აგებუ-  
ლი. საპედაგოგო აზრნი ერა-  
ზმისა იმითი არიან განსაკუთ-  
რებით შესანიშნავი, რომ  
ერაზმი აღმატებულის სასოე-  
ბით თაყვანსა სცემს ბავშვსა  
და ამ სასოებისაგან შეპყრო-  
ბილი იძლევა სარჩიელს ბავშ-  
ვის წურთენისას და აღზრდი-  
სას. **ბავშვიო, ავბოვს იგი,  
წმინდა ტაქარია სულისწ-  
მინდისა და სიყრთხილი-  
თა და სიყვარულით უნდა  
მოეძინეო. იგი არ ეთანხ-  
მება ვეჯიოს, რომელიც ბავშ-  
ვის ბუნებურს მიდრეკილებას  
მეტის-მეტს მნიშვნელობას  
აძლევდა, ერაზმი, პირიქით,  
ამტკიცებს, რომ აღზრდას და  
წურთენას შეუძლიან სრუ-  
ლად გარდაჰქმნას ბავშვიო.  
საქმე იმაშიაო, რომ ამ აღზრ-  
დასა და წურთენამ ბავშვი ჩა-  
იგდოს ხელში პირველ ხანში-  
ვე, ნორჩობაშივე და ყოველს  
მის ფეხის გადადგმას უწი-  
ნამძღვროსო.**

ერაზმის აზრით, ბავშვმა შე-  
მდეგი კიბე უნდა აიაროს აღზ-  
რდისა და წურთენის დროსაო:  
**ჯერ პირველად ყმანვი-  
ლის ნორჩს და მალე შემთ-  
ვისებულს გულში უნდა  
ჩანებრილ იქმნას ფინი-  
სათნეობისა, სიყვარული  
შემომხადობისა და რწმენა  
მისნი, რომ ღვთისათვის  
საცნაურია არამც-თუ სა-  
ქმენი აღამინისა, არამ-**

## «ჯერ პირველად ყმანვილის ნორჩს და მალე შემთვისებულს გულში უნდა ჩანებრილ იქმნას ფინისათნეობისა, სიყვარული შემომხადობისა და რწმენა მისნი, რომ ღვთისათვის საცნაურია არამც-თუ საქმენი აღამინისა, არამედ გულის ზრახვანისა. როცა ამ გზით სული და გული მონაფისა საქმოდ მოეზადებული იქნება, მაშინ მხსნიერების სწავლებასაც უნდა შეუდგენ და ბოლოს სოც უნდა განუვითარონ გარკნობა მოვალეობისა და ასწავლონ, როგორც უნდა მოეხდეს და მოეპყრას თავის მსგავს აღამინსაო»



## «ბატანჯული და ღაშინებული მონაფი ყოველს მხნეობასა ჰპარბავს, ნიჭი თაონსობისა და თვითმომხადობისა უპყვება, იმიტომ რომ, ვისაც ყველაფრისა უპინიან, ის უღონოა, რაიმე საქმეს შეუდგას თავისითა»



იდ გულის ზრახვანისა.  
როცა ამ გზით სული და  
გული მონაფისა საქმოდ  
მოეზადებული იქნება,  
მაშინ მხსნიერების სწავ-  
ლებასაც უნდა შეუდგენ  
და ბოლოს სოც უნდა გა-  
ნუვითარონ გარკნობა მო-  
ვალეობისა და ასწავლონ,  
როგორც უნდა მოეხდეს და  
მოეპყრას თავის მსგავს  
აღამინსაო. ყმანვილის  
სწავლება უნდა დაიწყოს, ერ-  
აზმის აზრით, შვიდ, ანუ რვა  
წლიდან, იმისდა მიხედვით,  
თუ სულით და ხორციელთა რა  
ღონისაა ყმანვილი, რადგანაც  
ამ ხანში ბავშვს გართობა და  
თამაშობა უყვარს, ამიტომ სა-  
ჭიროა სწავლა და წურთენა  
ისე მოეწყოს, რომ ბავშვმა  
სწავლება წვალეობად არ მიიჩ-  
ნოსო. **იმაზედ უარეანი  
არა არის-რა, რომ ბავშვ-  
მა მოიქალოს სწავლა-  
ცოდნად, ვიდრე შეიძენა-  
ვას ერთნისა და მეორის**

სიკეთისაო. ერაზმი ოსტა-  
ტისაგან ბევრს რასმე ჰოხო-  
ლობს. თუ ოსტატს ჰსურსო,  
რომ საქმე ემარჯვოს და კეთი-  
ლად იმოქმედოს ბავშვზედა,  
აუარებელი ცოდნა უნდა  
ჰქონდესო, ოსტატმა თითქმის  
ყველაფერი უნდა ზედმიწე-  
ვით იცოდესო. „თქვენ მეტყ-  
ვითო, ამბობს ერაზმი, რომ მე  
დიდს ტვირთსა ვსდებ ოსტატ-  
საო. მართალია ეგ, მაგრამ  
ერთს რომ დიდს ტვირთსა  
გვიდებ, ამით სხვა მრავალს  
ვუსუბუქებ ტვირთსაო. მე  
მსურსო, რომ ოსტატს გავლი-  
ლი ჰქონდეს მთელი სივრცე  
კაცთა მეცნიერებისა, იმი-  
ტომ, რომ მოწაფეებს აღარ  
დასჭირდეს თითონ ჰქმნან  
ისე მოეწყოს, რომ ბავშვმა  
სწავლება წვალეობად არ მიიჩ-  
ნოსო. **იმაზედ უარეანი  
არა არის-რა, რომ ბავშვ-  
მა მოიქალოს სწავლა-  
ცოდნად, ვიდრე შეიძენა-  
ვას ერთნისა და მეორის**

ერაზმი სამჯობინარად ჰხე-  
დავს იმისთანა სკოლას, საცა  
მონაფენი ბევრნი არ არიან.  
**ცოტა შემირდებიანი  
სკოლა ჯოგია, როგორც  
შინ აღზრდასა, ისე ბავშ-  
ვიმირდებიანი სკოლასაო.**  
შინ რომ იზრდება ყმანვილი,  
თვალწინ არავინა ჰყავსო,  
რომ უპირატეობისა და  
ჯობნობისათვის შეეჯიბროს  
ვისმე, და შეჯიბრება კი ამ შე-  
მთხვევაში დიდი ღონეა ბავ-  
შის წარმატებისთვისაო.  
ბევრ-შეგირდებიანი სკოლაში  
ხომ ოსტატი უფრონა თვითო-  
ეულ ბავშვის ბუნებას ცალკე  
ადევნოს თვალყურითო.

...ყველამ იცის ეხლანდელის  
სკოლის ნაკლებუნება და სა-  
კულაოდ არა ერთი და ორი  
ცვლილება და შევსება მოელ-  
ის ეხლანდელს სკოლასა. ვინ-  
ატირით, რომ შეცვლეთა და  
შემავსებელთა ხანდისხან ყუ-  
რი ათხოვონ ისტორიას, ზოგ-  
ჯერ უკანაც მიხედონ და ზო-  
გიერთი რამ შეითვისონ იმ  
დიდ-ბუნებოვან ჰუმანისტებ-  
პედაგოგებთან, რომელთაც  
უმოძღვრეს კაცობრიობას  
ბევრი რამ მოზარდის თაობის  
საკეთილდღეოდ და საბედნი-  
ეროდ“.

1888 წ.  
P.S. დღევანდელი სკოლის მესვეურთაც არ აწყენდათ,  
„ხანდისხან ყური ათხოვონ ისტორიას, ზოგჯერ უკანაც მი-  
იხედონ“, რადგანაც ამაზე და მოკიდებული არა მხოლოდ  
მოზარდი თაობის კეთილდღეობა და ბედნიერება, არამედ  
ქვეყნის ძლიერებაც. ილიაც სწორედ იმას ქადაგებდა, რომ  
სკოლა მხოლოდ ცოდნისა და სწავლისთვის არ არსებობს,  
არამედ „კაცის გაადამიანებისათვისო“.

დღეს კი რა გამოდის? ბავშვს, რომელიც დიდ პედაგოგებს  
სულიწმინდის ტაძრად მიაჩნდათ და მის მიმართ სიფრთხი-  
ლით დამოკიდებულებას უსვამდნენ ხაზს, უპირველესად,  
სანამ სწავლა-განათლებას შეეფუდებოდა, თურმე უნდა ჩა-  
ვაგონო, რომ ის ბუნებამ კი არ შექმნა ან ქადაგ, ან კაცად,  
არამედ თვითონ უნდა გადამწყვიტოს, რომელი იქნება ამ  
ორიდან... ამას კაცის გაადამიანებას კი არა, გაპირუტყვე-  
ბასაც ვერ დავარქმევთ. მოზარდი თაობისთვის მსგავსი აბ-  
სურდების ქადაგება კი სადამდეც მიიყვანს კაცობრიობას,  
დიდი ტვინის ჩყლეტა არ სჭირდება. როგორც ჩანს, ვილა-  
ცებს ძალიან სჭირდებათ გამოთავყანებული, გადაგვარე-  
ბული ადამიანები, რადგან ბრბოს მართვა გაცილებით ად-  
ვილია, ვიდრე განათლებული, ჭკვიანი საზოგადოებისა.





„ამ კაცმა (სტალინმა) იცის, როგორ იმოქმედოს, — ეუბნებოდა რუზველტი ვაშინგტონში 1943 წელს. — მას მიზანი თვალწინ აქვს. მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. მკაფიოდ გადმოსცემს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და სხვა მიმართულებით არასდროს გადაუხვევს“ (აშშ-ის 32-ე პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ცოლის — ელეონორა რუზველტის მემუარებებიდან).

1960 წელს სსრკ-სა და ჩინეთს შორის ოფიციალურად მოხდა განხეთქილება. ამის მიზეზი იყო ეროვნული კომპარტიების ლიდერების ურთიერთშეურაცხყოფა. ნიკიტა ხრუშჩოვმა მათ ძედუნს სტალინისტი უწოდა, მათ ვალში არ დარჩა და საბჭოთა გენმდივანს რევიზიონისტი დაარქვა.



### აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი სტალინზე


\* „უბრალო ენაზე რომ ვთქვა, შესანიშნავად შევეწყვე მარშალ სტალინს. ამ ადამიანში არის უზარმაზარი ენერჯია, უდრეკი ნებისყოფა და ჯანსაღი იუმორი. ვფიქრობ, რუსეთის სული და გული მასში ჭეშმარიტადაა წარმოდგენილი. მჯერა, მომავალშიც ვითანამშრომლებთ სტალინთან და რუს ხალხთან.“  
\* „ამ კაცმა (სტალინმა) იცის, როგორ იმოქმედოს, — ეუბნებოდა რუზველტი ვაშინგტონში 1943 წელს. — მას მიზანი თვალწინ აქვს. მასთან მუშაობა დიდი სიამოვნებაა. მკაფიოდ გადმოსცემს საკითხს, რომლის განხილვაც სურს, და სხვა მიმართულებით არასდროს გადაუხვევს“ (აშშ-ის 32-ე პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის ცოლის — ელეონორა რუზველტის მემუარებიდან).

## «რევიზიონისტი», «ლარაკი», «ქაში-რაქაბა»... რა სხელებით აგობდნენ პოლიტიკოსები ერთმანეთს



### დონალდ ტრამპი და კიმ ჩენ ინი

2017 წლის სექტემბერში აშშ-ის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** გაეროს გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერ **კიმ ჩენ ინს** რაკეტმენი (კაცი-რაქეტა) უწოდა.  
„რაქეტმენი საკუთარი თავის მკველელობასა და თავისი რეჟიმის განადგურების მისიაში მონაწილეობს“, — თქვა ტრამპმა და განმარტა, რომ, თუ ჩრდილოეთი კორეა არ შეაჩერებს თავის ბირთვულ პროგრამას, ვაშინგტონს სხვა არჩევანი არ ექნება, კორეის რეჟიმის განადგურების გარდა.  
გენერალურ ასამბლეაზე ტრამპის გამოსვლიდან რამდენიმე დღის შემდეგ ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტრამპს ფსიქიკურად გაუწონასწორებელი უწოდა.  
2018 წლის ზაფხულში დონალდ ტრამპი და კიმ ჩენ ინი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს (სინგაპურში), სხევედრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტმა კსდრ-ის ლიდერს **„სანიტარისო და ძალიან, ძალიან მძინარე ბიჭი“** უწოდა.



### ჯო ბაიდენი და დონალდ ტრამპი

2019 წლის მაისში აშშ-ის ყოფილმა ვიცეპრეზიდენტმა (იმხანად 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შესაძლო კანდიდატმა) **ჯო ბაიდენმა** ქვეყნის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს კლოუნი უწოდა. „როცა ის სასაცილო რაღაცებს გაიძახის (ბაიდენი გულისხმობდა ტრამპის თავდასხმებს დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებზე), მე ხელს ვწევ და ვამბობ: ყველამ იცის, ვინ ხარ შენ, იმიტომ, რომ მათ მართლაც იცინა“, — თქვა ბაიდენმა.  
დონალდ ტრამპს ჯო ბაიდენის (ტრამპმა მას „მძინარე ჯო“ შეარქვა) ნათქვამი, რა თქმა უნდა, უპასუხოდ არ დაუტოვებია და განაცხადა, რომ ბაიდენი ვიცეპრეზიდენტი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ **„შეიქმნა ბარაკ ობამასთვის უპანალი და-აკონა“**.



### პარი ტრამპი და ჯო ბაიდენი

„თუ დავინახავთ, რომ ომს გერმანია იგებს, ჩვენ რუსეთს უნდა დავეხმაროთ. თუ დავინახავთ რუსეთი იმარჯვებს, გერმანიის მხარე უნდა დავიჭიროთ, და დაე, მათ რაც შეიძლება დახლოდნენ ერთმანეთი, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ მივინდობ, პიტლერმა გაიმარჯვოს... მე მომწონს **ჯო სტალინი**, ის კარგი ბიჭია. იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ვიცნობ, სტალინი ყველაზე უფრო ჰგავს **პანდორასს** (აშშ-ის 33-ე პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის მეგობარ ამერიკელ პოლიტიკოსს).“



### ნიკოლას მადურო და ნიკოლა პენია ნიბო

ვენესუელის პრეზიდენტმა **ნიკოლას მადურომ** 2017 წლის აგვისტოში მექსიკის პრეზიდენტ **ნიკოლა პენია ნიბოს** ლარაკი უწოდა. ასე შეაფასა მადურომ The Washington Post-ში გამოქვეყნებული სტატია, რომ აშშ-ის ლიდერი **დონალდ ტრამპი** სატელეფონო საუბარში ცდილობდა პენია ნიბოს დარწმუნებას, აშშ-ისა და მექსიკის საზღვარზე კედლის აშენება დაეფინანსებინა.  
**„მექსიკის პრეზიდენტი რომ ვიყო, ყველა კედელს დავანგრავდი. და ისა არ მოვიძებნოდი, რომოც ეს ლარაკი“**, — განაცხადა მადურომ.



### ჯო ბაიდენი და დონალდ ტრამპი

2019 წლის ოქტომბერში სირიის პრეზიდენტმა **ბაშარ ასადმა** თურქ კოლეგა **რეჯეპ თაიფ ერდოღანს** ქურდი უწოდა. **„ერდოღანი ქურდია, რომელმაც მოიპარა ფაბრიკები, სოკბალი, ზეთი, ახლა კი მიწებს იპარავს“**, — განაცხადა ასადმა იდლიბში, ფრონტის ხაზზე სირიელ სამხედროებთან შეხვედრისას.  
2019 წლის 9 ოქტომბერს თურქეთმა დაიწყო ოპერაცია „მშვიდობის წყარო“ და გადალახა სირიის საზღვარი. ანკარამ ამ მოქმედების მიზნად დაასახელა ბრძოლა ქურთ შეიარაღებულ ფორმირებებთან, რომლებსაც ის ტერორისტებს უწოდებს.



### როდრიგო დუტარტე და ბარაკ ობამა

2016 წლის სექტემბერში ფილიპინების პრეზიდენტმა **როდრიგო დუტარტემ** აშშ-ის პრეზიდენტ **ბარაკ ობამას** ძალიან ვილი უწოდა. დუტარტეს ეს რეაქცია გამოიწვია ობამას განცხადებამ დუტარტესთან შეხვედრისას ფილიპინებზე სასამართლოს გვერდის ავლით მოქალაქეების დასჯაზე ემსჯელა. პასუხად ამერიკის პრეზიდენტმა გააუქმა დაგეგმილი შეხვედრა. დუტარტემ ობამას ორი წლის შემდეგ მოუბოდიშა (2018 წელს ობამა პრეზიდენტი აღარ იყო) და ამ საქციელს უბრალო ლაყობა უწოდა.

### შაირ ბოლსონარო და ემანუელ და ბრიჯიტ მაკრონები

2018 წლის აგვისტოში ბრაზილიის პრეზიდენტმა **შაირ ბოლსონარომ** საფრანგეთის პრეზიდენტის, **ემანუელ მაკრონის** ცოლს, **ბრიჯიტ მაკრონს** გარეგნობა დაუწუნა. სოციალურ ქსელ ფეისბუქის ერთ-ერთმა მომხმარებელმა გვერდზე დაგვირდ გამოაქვეყნა ორი ფოტო. ერთზე გამოსახულია ბოლსონარო ცოლთან, 37 წლის მიშელთან ერთად, მეორეზე — ემანუელ მაკრონი და მისი მეუღლე, 66 წლის ბრიჯიტი. ფეისბუქის მომხმარებელმა ფოტოებს მიანერა: **„ახლა გასაგებია, რატომ ემტერება მაკრონი ბოლსონაროს?“** ბრაზილიის პრეზიდენტი ამ პოსტს შემდეგი ფრაზით გამოეხმაურა: **„ნუ ამცირებ ადამიანს!“** საფრანგეთის პრეზიდენტმა კი პასუხად ბრაზილიელებს ისეთი პრეზიდენტი უსურვა, რომელიც „ნორმალურად მოიქცევა“.



მთაბადა ნიკა კორინთელა



მსოფლიოს პირველი ჩემპიონატის ფინალი 1928 წლის ოლიმპიური თამაშების ფინალს დაემსგავსა. ორივე ფინალში ურუგვაელები და არგენტინელები მონაწილეობდნენ. ოლიმპიურ თამაშებში ურუგვაელებმა გაიმარჯვეს — 2:1; მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მატჩის პირველი ტაიმი არგენტინელებმა მოიგეს — 2:1, მაგრამ მეორე ნახევარში 3 ბურთი გაუშვეს და მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ტიტული ურუგვაელებს მიიპოვეს.

სპორტი www.geworld.ge  
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ურუგვაე 1930

პირველი საფეხბურთო ჩემპიონატი 1930 წელს ურუგვაეში ჩატარდა. იმხანად ურუგვაის ნაკრებს უზარმაზარი ავტორიტეტი ჰქონდა, როგორც ოლიმპიურ ჩემპიონს. მუნდიალის გამართვის იდეა იმიტომ მომწონდა, რომ უკვე გამოჩნდნენ პროფესიონალი ფეხბურთელები, მაგრამ მათ ოლიმპიადებში მონაწილეობა, მოყვარულებისგან განსხვავებით, აკრძალული ჰქონდათ. ფეხბურთს კი, რომელიც ელვის სისწრაფით ვითარდებოდა და სულ უფრო იხვეჭდა პოპულარობას, დიდი შეჯიბრების გამართვა სჭირდებოდა.

შეჯიბრების ჩატარება არავის სურდა, იმიტომ, რომ ძალიან ძვირი ჯდებოდა, მაგრამ ფიფას დახმარების ხელი ურუგვაეში გაუწოდა. 1930 წელს ქვეყანა გემავდა, ფართოდ აღენიშნა კონსტიტუციის 100 წლისთავი და ნაკრების გამარჯვება გრანდიოზულ სტადიონ „სენტენარიოზე“ შესანიშნავად ჩაენერგებოდა საზეიმო ღონისძიებების სიაში. აღსანიშნავია, რომ ურუგვაეში მგზავრობის სიძვირის გამო არ ჩავიდნენ ევროპის უძლიერესი ეროვნული ნაკრებები. საბოლოოდ, ფიფას ჩარევის შემდეგ, რომელმაც დაარწმუნა ევროპის ოთხი ქვეყნის ხელისუფლებები მათი გუნდების ურუგვაეში გამგზავრების აუცილებლობაში, ჩემპიონატზე თავი მოიყარა 13-მა ნაკრებმა, რომლებიც 4 ჯგუფში გაანაწილეს. ჯგუფებში პირველ ადგილზე გასული ნახევარფინალში გადიოდა. შეჯიბრებამ სტარტი 13 ივლისს აიღო და 30 ივლისს დასრულდა.

ოლიმპიურ თამაშებში ურუგვაელებმა 2:1 გაიმარჯვეს. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის პირველი ტაიმი არგენტინელებმა მოიგეს — 2:1, მაგრამ მეორე ნახევარში 3 ბურთი გაუშვეს და მსოფლიოს პირველი ჩემპიონის ტიტული ურუგვაეში მოიპოვეს. ურუგვაის ნაკრების ღირსებას იცავდნენ: **ენრიკე გალესტროსი (მეკარე), დომინგო ტახარა, ერნანსო მასკარონი, სოსე ნასასი, სოსე ანდრადა, ლორანსო ფერნანდესი, ალვარო ხესტიდო, სანტოს ურდინარანი, პაბლო დორადო, ემტორ კასტრო, ემტორ სკარონე, პედრო პეტრონი, სუან ანსელმო, ხოსე პედრო სანტოს ირიარტი; მთავარი მწვრთნელი: ალვარტო სუპიჩი.**

ჩემპიონატის გმირები

პირველ მსოფლიო ჩემპიონატზე ინდივიდუალური ჯილდოები არ დაუნესებიათ. ეს ტრადიცია მოგვიანებით დამკვიდრდა, მაგრამ, ფეხბურთის სპეციფიკებისა და ისტორიკოსების აზრით, ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე იყო ურუგვაელთა კაპიტანი, მცველი **სოსე ნასასი**, რომელიც ყოველთვის თავგანწირვით ემსახურებოდა ქვეყნის ნაკრებს.

მსოფლიოს პირველ ჩემპიონატამდე ნასასიმ ურუგვაის ნაკრების მაისურით ორი ოლიმპიადე და სამხრეთ ამერიკის 3 ჩემპიონატი მოიგო. პრესა წერდა, რომ სწორედ ნასასიმ გაამხნევა ურუგვაის ნაკრების ფეხბურთელები, როცა ფინალში არგენტინასთან 1:2 აგებდა და დაარწმუნა თანაგუნდელები, რომ შეძლებდნენ მეტოქის დამარცხებას.

ალბომი

მსოფლიო ჩემპიონატამდე 2 თვით ადრე ამ პრესტიჟულ საფეხბურთო ტურნირში იუგოსლავიის მონაწილეობაზე ლა-

# მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატები 90 წლისაა



ფიფას პრეზიდენტი ჟოზე რიბე თასს გადასცემს ურუგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს



ემტორ კასტრო



გილერმო სტაბილა

პარაკიც არ ყოფილა. ქვეყნის მეფე **ალექსანდრე I-ს** არ სურდა გუნდის დაფინანსება, თანაც ხორვატები უარს ამბობდნენ სერბების მხარდამხარ თამაშზე, საბოლოოდ სერბეთის ნაკრები მაინც გაემგზავრა ურუგვაეში, მაგრამ მის შემადგენლობაში მხოლოდ ახალგაზრდა ფეხბურთელები იყვნენ. ჯგუფში იუგოსლაველებმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვეს ბრაზილიელებზე, შემდეგ ბოლივია დაამარცხეს და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც ნააგეს ურუგვაისთან, მაგრამ მოიპოვეს სიმამართა ადგილობრივი

მაცურებლისა, რომელმაც „ინჩი“ (სერბი ფეხბურთელების გვარებში „ინჩ“ სუფიქსის გამო) შეარქვეს. **საუკეთესო ბომბარდირი** მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში ყველაზე მეტი ბურთი

გაიტანა არგენტინელმა **გილერმო სტაბილამ**. თავდაპირველად ის არ განიხილებოდა ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ (პირველი მატჩი გამოტოვა), მაგრამ, როდესაც ტრავმირებულ **რობერტო ჩაროს** ნაცვლად მეორე მატჩში მოედანზე გამოვიდა, სამი ბურთი გაიტანა მექსიკის კარში, შემდეგ კი 2-2 ბურთი გაიტანა ჩილესა და აშშ-ს. სულ სტაბილემ 8 ბურთი გაიტანა 4 მატჩში.

ჩემპიონატის სიმბოლური ნაპარბი

ენრიკე ბალესტეროსი (ურუგვაე), ხოსე ნასასი (ურუგვაე), მილუტინ ივკოვიჩი (იუგოსლავია), ლუის მონტი (არგენტინა), ალვარო ხესტიდო (ურუგვაე), ხოსე ანდრადა (ურუგვაე), პედრო სეა (ურუგვაე), ექტორ კასტრო (ურუგვაე), ექტორ სკარონე (ურუგვაე), გილერმო სტაბილე (არგენტინა), ბერტ პეტროული (აშშ).

საინტერესო ფაქტები

- \* მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში პირველი ბურთი გაიტანა ფრანგმა **ლუსიან ლორანმა** მექსიკის ნაკრების კარში.
- \* პირველი ჰეთ-ირიკი შეასრულა ამერიკელმა **პიტ პეტროულმა**. მან სამჯერ აიღო პარავაის ნაკრების კარი.
- \* პირველი ფეხბურთელი, რომელიც მოედნიდან გააძევეს, იყო პერუელი **ბალიდო** — მან ფეხი მოსტეხა რუმინელ კოლეგას. აღსანიშნავია, რომ იმხანად ფეხბურთელების შეცვლა არ შეიძლებოდა.
- \* ურუგვაის ნაკრების შემადგენლობაში თამაშობდა თავდამსხმელი **ემტორ კასტრო**, რომელსაც მარჯვენა ხელი მოკვეთილი ჰქონდა (ექტორ კასტროზე ვრცელი მასალა იხ. «საქართველო და მსოფლიოს» 2019 წლის 29-ე ნომერში). სწორედ მან გაიტანა პირველი გოლი ურუგვაელთა მხრიდან.



ფინალური მატჩის წინ



მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ურუგვაის ნაკრები

# «სასაღსო დიპლომატიის» ფარგლებში აფსაზეთთან დიალოგი, შესაძლოა, ალაქსანდრა ჭაჭია დღიწურს

საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით, არალეგიტიმური აფსაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ასლან ბჳანიამ რამდენიმე დღის წინათ ძალიან ნიშანდობლივი განცხადება გააკეთა. ბჳანიამ რუსული სააგენტო „ინტერფაქსის“ ონლაინკონფერენციაზე განაცხადა:

„ჩემთვის გაუგებარია, დღემდე რატომ არ არის ხელმოწერილი შეთანხმება ძალის გამოუყენებლობის შესახებ აფსაზეთის რესპუბლიკასთან. ეს უმთავრესია, როგორც კი ეს პირველი პუნქტი შესრულდება (და ბჳანიამ აქ ახსენა საქართველოს „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში“ სახელმწიფო მინისტრის აპარატის დოკუმენტი, რომელიც მთავარ მიზნად მშვიდობას აცხადებს), ყველაფერი ძალიან, ძალიან კარგად წავა“ („Мне непонятно, почему до сегодняшнего дня не подписано соглашение о неприменении силы по отношению респу-

блики Абхазия. Это самое главное, как только этот пункт первый будет реализован, все пойдет очень и очень хорошо“). აფსაზეთის ლიდერმა ასევე აღნიშნა, რომ იგი არ ელის საქართველოსგან აფსაზეთის სახელმწიფოს აღიარებას, მაგრამ, ამის მიუხედავად, „თავდაუხსმელობის ხელშეკრულება ის დოკუმენტია, რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას, ვანარმოოთ დიალოგი – ჰუმანიტარული, ეკონომიკური და ნებისმიერი სხვა სახის“ („Договор о неприменении силы – это тот договор, который даст возможность для нашего возможного диалога: гуманитарного, экономическо-



го и любого другого“). ქართულმა სააგენტოებმა ეს ციტატები ოდნავ არაზუსტად თარგმნეს, მაგრამ ეს „ოდნავ“ საკმარისია იმისთვის, რომ ბჳანიას განცხადების სენსაციურობა მიიჩქმალოს. არადა, სენსაცია აშკარაა — აფსაზეთის პრეზიდენტი თანახმაა, ანარმოოს საქართველოსთან ყოვლისმომცველი დიალოგი, მათ შორის, პოლიტიკურიც, თუკი აფსაზეთის მოსახლეობა ნეიტრალური, ტექნიკური ხასიათის დოკუმენტის საფუძველზე მიიღებს ფიზიკური უსაფრთხოების გარანტიას თბილისის მხრიდან! ვფიქრობთ, ეს არის უმნიშვნელოვანესი მოვლენა აფსაზეთის მიმართულეებით ბოლო ათეული წლის განმავლობაში და ამ შანსს გამოყენება უნდა. აუცილებელია, გავამაგროთ ასლან ბჳანიას — ადეკვატური, წესიერი აფსაზი კაცის —

პოზიციები. ეს ვითარება ყველაზე კარგად ქართველ პატრიოტს, ალაქსანდრა ჭაჭიას, ესმის და სწორედ მას აქვს საუკეთესო კავშირები აფსაზეთში. ჩვენი ინფორმაციით, მზადდება გარკვეული ჩარჩოები საიმისოდ, რომ „სახალხო დიპლომატიის“, ანუ არაფორმალური დიალოგის ფარგლებში, ორივე მხრიდან, პოლიტიკოსებმა და საზოგადოების წევრებმა გააანალიზონ და შეაფასონ სიტუაცია. საქმიდან გამომდინარე, აუცილებელია, ჭაჭია ოფიციალურმა თბილისმა გარკვეული ტიპის მანდატით აღჭურვოს. თუკი ეს მოხდება და საქართველოს ხელისუფლებას გონება გაუნათდება, მაშინ მოლაპარაკებებს წინ აღარაფერი დაუდგება.

ge.news-front.info



## ევროზონის მშპ 8,7 პროცენტით შეზღუდა


ევროკომისიის პროგნოზით, 2020 წელს პოლონეთის მშპ 4,6%-ით შემცირდება. სია ვარაუდობდა, რომ პოლონეთში რეცესია 4,3%-ს შეადგენდა, ახლა 0,3%-ით მეტს ელოდებიან, მაგრამ ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით პოლონეთში ვითარება

არც ისე ცუდია. ევროზონაში მშპ 8,7%-ით არის შემცირებული. არადა, მიმდინარე წლის მასში ევროკომისია მშპ-ს 7,7%-ით შემცირებას ვარაუდობდა. iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა



## ევროპა და აზია უარი განაცხადეს აპრიკულ ბუნებრივ აირზე

ევროპაში ცისფერი სანჯავის ფასი მინიმუმამდე დაეცა. ამერიკული თხევადი ბუნებრივი აირის შექმნას აზრი არ აქვს — ეს თვითონ აშშ-ის ენერჯეტიკის სამინისტრომ აღიარა. კლიენტებმა ზაფხულში უარი განაცხადეს ასეულობით შეკვეთაზე, შედეგად ექსპორტი 63%-ით შემცირდა.



2019 წელს აშშ-დან ბუნებრივი აირის ექსპორტმა 54,7 მლრდ კუბ. მ შეადგინა — ეს 20,7 მლრდ-ით მეტია, ვიდრე 2018-ში. შემდეგ წლებში გემები უფრო ამბიციური იყო: 2020-ში — 67,2 მლრდ კუბ. მ, 2021-ში — 79,5. ამ მონაცემებზე 2010 წლის იანვარში ილაპარაკა აშშ-ის ენერჯეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა, მაგრამ დღეს უკვე ნათელია, რომ ასე არ მოხდება.

თვეში, 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ორჯერ დაეცა, იაპონიისთვის ბუნებრივი აირის მიწოდება კი 44%-ით შემცირდა. უკვე აპრილში ევროპაში ამერიკული ბუნებრივი აირის ექსპორტი მიზანშეწონილი იყო. დიდმა ევროპულმა და აზიურმა კომპანიებმა იგნის-ივლისის კონტრაქტები გააუქმეს.

agitpro.su-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ

საქართველო. თუ გსურთ, გაზიტი „საქართველო“ და მსოფლიო მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საპურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს: „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74 „მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

# «ჰარი პოტერის» ავტორი ტოლკანობის დიქტატურის წინააღმდეგ

მოდრაბა Black Lives Matter-მა (შავების სიცოცხლეც მნიშვნელოვანია) ისე გააფართოვა შეცვლილი ცნობიერების ჰორიზონტი, რომ დასავლეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები აიძულა, გამოხატვის თავისუფლებაზე ალაპარაკებულყვენ.

ცნობილმა ბრიტანელმა მწერალმა ჯოან კინგ როუ-ლინგმა — ჰარი პოტერის „დედამ“ — 150 სხვა ცნობილ ადამიანთან ერთად ხელი მოაწერა ღია წერილს „დისკუსიის სამართლიანობისა და გახსნილობის შესახებ“. მიმართვის ავტორებს იმედი აქვთ, რომ ცივილიზებული სამყაროში აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას აზრის გამოხატვის შესახებ. „დაგმობისადმი მიდრეკილება სულ უფრო ვრცელდება ჩვენს კულტურაში: შეურიგებელი დამოკიდებულება სანინალმდეგო აზრის მიმართ, რთული პოლიტიკური პრობლემების ათქვეფა ზნეობრივი კატეგორიულობის დამაბრმავებელ ნაკადში“.

კულტურის მოღვაწეები შემოთვალენ არიან ტენდენციებით, რომლებიც, მათი აზრით, ართმევენ „შემოქმედებითი ექსპერიმენტების, რისკიანისა და შეცდომების“ უფლებას. მათ მოუწოდეს საზოგადოებას, დაუტოვონ უფლება, არ დაეთანხმონ აზრის ფილტრაციის წესებს. თვითონ ჯოან როულინგს ცოტა ხნის წინათ მოუწყვეს ობსტრუქცია ერთ-ერთი გამოცემის სვეტის ავტორისადმი უწყინარი შენიშვნის გამოთქმის გამო. მწერალმა ყურადღება მიაპყრო სათაურს — „თვალსაზრისი: კოვიდ-19-ის შემდეგ უნდა შეიქმნას უფრო სამართლიანი მსოფლიო ადამიანებისთვის, რომლებსაც მენსტრუაცია ემართება“.



ჯოან როულინგმა იხუმრა, რომ სვეტის ავტორს დაავიწყდა სიტყვა „ქალის“ გამოყენება. მწერალი მისივე დაადანაშაულებს ტრანსფობიაში (ტრანსგენდერებისა და ტრანსსექსუალების მიმართ მტრული განწყობა). არადა, დღემდე არც ერთ ნამდვილ მამაკაცს არ ჰქონია ე.წ. კრიტიკული დღეები. ფასეულობების ახალი სის-

ტემა ზღუდავს ხელოვნების მოღვაწეებსა და სხვა მოქალაქეებსაც სიმპათიებსა და ანტიპათიებს. ადამიანებს, ტოლერანტობის ხელოვნური ჩარჩოებში მოქცევით, ფაქტობრივად, გამოხატვის თავისუფლებას ართმევენ. news.front.info-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი ბაჩინილაძემ

www.geworld.ge. საქართველო. ისტორიის რვეს სიბს. პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება, ადამიანის უფლებები, ისტორია

სარედაქციო კოლეჯია. გაზიტი ხელმძღვანელოვს თავისუფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექისრებათ პასუხისმგებლოვს ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს. მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6 ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894. 9 772233 389091